

## კალფოსეტი (Calfoset)

**Calcium gluconate, Calcium glycerophosphate, Magnesium chloride**

**წამლის ფორმა:** საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

### შემადგენლობა

100 მლ შეიცავს: კალციუმის გლუკონატს 32,82გ, კალციუმის გლიცეროფოსფატს 8,13გ, მაგნიუმის ქლორიდს 4,18გ.

**გამოშვების ფორმა:** 50 და 100 მლ მინის ფლაკონებში.

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:** მინერალური კომპლექსი.

### ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატის მოქმედება განპირობებულია მასში შემავალი კალციუმის, მაგნიუმისა და ფოსფორის მარილების არსებობით.

კალციუმი ორგანიზმში აუცილებელია ნერვული და ძვალ-კუნთოვანი სისტემების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ის დადებითად მოქმედების გულის მუშაობაზე და ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლის კოაგულაციისთვის.

ფოსფორი და მაგნიუმი ხელს უწყობს კალციუმის მეტაბოლიზმს. ძირითადი ფუნქცია ფოსფორის მეტაბოლიზმის მდგომარეობს ატფ-დან ბიოლოგიური ენერჯის გადატანაში. მაგნიუმი წარმოადგენს უჯრედგარე იონს და მრავალი ენზიმისათვის ასრულებს ძირითად კოფაქტორის როლს, კერძოდ, ფოსფატების გადაცემასთან დაკავშირებული, რამლებსაც დიდი ენერგეტიკული მნიშვნელობა აქვს.

### გამოყენების ჩვენებები

კალფოსეტი გამოიყენება კალციუმის, ფოსფორისა და მაგნიუმის ნაკლებობასთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობის და პროფილაქტიკისთვის:

- ჰიპოკალციემია და მშობიარობის შემდგომი პარეზი;
- სხვადასხვა ფორმის ტეტანიები: სამოვრის ტეტანია, ტეტანია მაკობისა და ლაქტაციის დროს;

- კალციუმის, ფოსფორისა და მაგნიუმის მეტაბოლიზმის მოშლა, განსაკუთრებით მაკეობის დროს;
- რაქიტი ახალგაზრდა ცხოველებში, ოსტეომალაცია ზრდასრულ ცხოველებში, ალერგია, ტოქსიკოზი, მშობიარობის შემდგომი ჰემოგლობინურია, ლაქიანი ავადმყოფობა;
- ჭინჭრის ციება, ეგზანთემა, ჰემორაგიული დიათეზი, ჰემატურია და მიოგლობინურია;
- დამხმარე თერაპია ტყვიით, მჟაუნმჟავით ინტოქსიკაციის დროს.

დოზირება და გამოყენების წესი

მსხვილფეხა პირუტყვი (500კგ) - ვენაში, კუნთში ან კანქვეშ, 80-100 მლ.

ცხვარი, თხა – ვენაში, კუნთში ან კანქვეშ, 15-25 მლ.

ცხენი (500კგ) - ვენაში 80-100 მლ.

ღორი - ვენაში, კუნთში ან კანქვეშ, 15-25 მლ.

გოჭები - კუნთში ან კანქვეშ, 2-3 მლ.

საჭიროების შემთხვევაში 24 საათში შეიძლება დოზის გამეორება.

### უკუჩვენებები

დადგენილი არ არის.

### გაფრთხილება

ჰიპერკალციემიის შემთხვევებში (ჭარბი დოზირებისას) შეიძლება აღენიშნოს: ანორექსია, კუნთების ტკივილი, გულისრევა, ღებინება, წყურვილი. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში ჰიპერკალციემიამ შეიძლება გამოიწვიოს ბრადიკარდია და გულის არითმია.

### შენახვის პირობები

ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას +5°C-დან +25°C-მდე ტემპერატურაზე.

პრეპარატის გამოყენება დასაშვებია სტერილური ნემსით რეზინის საცობის პირველი ჩაჩხვლეტიდან 28 დღის განმავლობაში.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: კრკა, სლოვაკეთი.